№ 115 თიბათვე 6, სამშაბათი 1889 თიბათვე 6, სამშაბათი № 115

# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## მეგრულს ენაზე ლოცვებისა და წირვის წესის გადათარგმნის გამო.

შავის ზღვის აღმოსავლეთის ნაპირზე ძლიერ ძველის დროიდამ სცხოვრობს ხალხი—მეგრელები, რომელნიც ეკუთვნიან ქართველთა ტომს. ამ ხალხს ძველის დროიდამვე ერთობა ჰქონია ქართველებთან: ხან მართველებიც ერთი ჰყოლიათ ხოლმე და ხან—საკუთარი. დღეს ეს ხალხი რიცხვით ას ორმოც-და-ათასამდე ითვლება და ორი მაზრა უჭირავს.

ქრისტეს სწავლა-მოძღვრება თავიდგანვე უქადაგნიათ აქ ქართულს ენაზედ. ქრისტიანობის მიღებიდგან წირვა-ლოცვა და სწავლა-ქადაგება ამ ხალხში სრულდებოდა ქართულს ენაზე და დღესაც ამავე ენაზე სრულდება. ყველა აქაური მღვდელ მთავრები, ჭყონდიდლად წოდებულნი, და კათოლიკოსები ქართულს ენაზედ სწირავდნენ და ამავე ენაზედ ჰქადაგებდნენ. ანდრია მოციქულიდგან დაწყებული, რომელმაც პირველად იქადაგა ამ მხარეში ქრისტეს სწავლა, დღემდის სამეგრელოს ხალხს წირვა-ლოცვა, სწავლა-მოძღვრება და ლიტერატურა ქართულს ენაზედა ჰქონია და ქართულზედვე აქვს. მტრებს აუოხრებიათ ხოლმე ეს ქვეყანა, გადაუწვავთ ეკკლესიები, დაუწვავთ საღმრთო და საეკკლესიო წიგნები, მაგრამ სამეგრელოში ქართული ენა და ქართულად წირვა-ლოცვა და ღვთის ვედრება ვერ მოუსპიათ. ქართულს ენაზე განათლებული და სწავლა მიღებული სამეგრელოს ხალხი ისე მტკიცედ დარჩენილა მართლ-მადიდებელს სარწმუნოებაზე, რომ ურწმუნო მეზობლებს, თათრებსა და იმათ მსგავს, ქრისტიანობის ნათელი ვერ გაუქრიათ და ვერ შეუმუსრავთ.

იმ დროსაც, როდესაც სამეგრელოს კუთხეს ჰმართავდნენ მეგრელთა თავადნი და დიდებულნი და როდესაც ყოველსავე ღონისძიებას ჰხმარობდნენ გაჰკერძოებულიყვნენ სხვა ქართველთა ხალხის სამთავროდგან, მაშინაც-კი არავის აზრად არ მოსვლია, გულში არ გაუვლია მეგრულს ენაზედ ასოების გამოგონება და ამ ენაზე მწერლობისა და ლიტერატურის დაარსება. ყველა დროს და ყოველს შემთხვევაში მეგრელთ თავის დედა-ენად მარტო ქართული ენა მიაჩნდათ და დღესაც მიაჩნიათ. ამას ამტკიცებს ყველა გუჯრები და წერილები, დაწყებული იმ დროდგან, როდესაც ქართულს ენაზედ მწერლობა დაარსებულა. მიწერ-მოწერა და მოკითხვა ყოველთვის ქართულს ენაზე ყოფილა და არის. ყველა ეს მეტის-მეტად ცხადი და აშკარაა.

ეხლა ვიკითხოთ, რა საჭიროება ითხოვს, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ხალხს უარი ათქმევინონ ქართულს ენაზედ და მეგრულად დააწყებინონ წირვა-ლოცვა და წერა-კითხვა? ბევრი ვიფიქრეთ, მაგრამ ვერას გზით ვერ მიმხვდარვართ, თუ რა სარგებლობისათვის უნდათ, რომ მაინც და მაინც მეგრულად ალოცონ ეს ხალხი და მეგრული მწერლობა დაუარსონ? რით ვერ გაიგეს, რით ვერ შეიტყეს, რომ მეგრული ენა არ არის ისეთი განსხვავებული ენა ქართულის ენისაგან, როგორც, მაგალითებრ, ოსური, აფხაზური და სომხური? რით ვერ შეიტყეს, რომ მეგრული ენა იგივე ქართული ენაა გადასხვაფერებული? ორს მეგრელს ისე არ შეუძლიან ილაპარაკოს მეგრულს ენაზედ, რომ ლაპარაკის დროს მესამედი მაინც ქართული სიტყვები არ იხმაროს.

ვინ არ იცის, რომ სამეგრელოს მკვიდრთა უმეტესი ნაწილი ქართულად ლაპარაკობს? ისინიც-კი, რომელნიც მარტო მეგრულს ენაზე ლაპარაკობენ, მალე ეჩვევიან ხოლმე ქართულად ლაპარაკს, როცა ცხოვრებას იწყებენ ქართველთა ოჯახებში. ამათთვის სრულიად საკმაოა ორი კვირა ან ერთი თთვე გაატარონ ასეთს ოჯახებში, რომ წმინდა ქართულს ენაზე იწყონ ლაპარაკი. რომელ უცხო ენის შესწავლა შეიძლება ორის კვირის, ანუ ერთის თთვის განმავლობაში?—არც ერთის ენისა, ჩვენის აზრით. მაშ მეგრელებს რად ეადვილებათ ქართულის ენის შესწავლა?—იმიტომ-რომ მეგრული ენა გადასხვაფერებული ქართული ენაა, ქართულის ენის ნათესავია

ასეც რომ არ იყოს, ნუ თუ კანონიერი და საქმისათვის სასარგებლო იქნება ზოგიერთ ახირებულ ადამიანთა დაჟინებული სურვილი, რომ ერთ მუჭა ხალხს, რომელსაც მაზრა ნახევარი უჭირავს, ცალკე მწერლობა დაუარსონ და ამით მოაშორონ ისინი ერთ მილიონ ქართველ ღვიძლ ძმა ხალხთან ერთობას?

იქნება ვისმეს ეგონოს, რომ მეგრელებს რაიმე საქმეში აბრკოლებდეს მეგრულს ენაზე მწერლობის უქონლობა? იქნება სწავლა-განათლების საქმეში მეგრელთა ახალ-თაობას აბრკოლებდეს ის მოვლენა, რომ პირველ-დაწყებითი სწავლა სწარმოებს პირველად ქართულს ენაზე და შემდეგ ამ ენის საშუალებით სახელმწიფო ენას სწავლობენ? იქნება ვისმეს ჰგონია, რომ მეგრელთა ბავშვებს პირდაპირ რუსულ ასოებიდგან რომ დააწყებინონ სწავლა, უფრო გაუადვილდებათო? ყველა ამისთანა მოსაზრება შეიძლება იქონიოს კაცმა, ნებით თუ უნებურად, თავისის სარგებლობისა და ზარალისათვის, მაგრამ ცხოვრების კანონებსა და ნამდვილს ფაქტებს სად წაუხვალ კაცი! კაცს ბევრი რამ მოსაზრება მოუვა თავში, ბევრს რასმეს თავის საზარალოსაც მოიფიქრებს უნებურად, მაგრამ ისტორია ცხოვრებისა და იმისი კანონები სულ სხვას გვიჩვენებს და სხვას გვიმტკიცებს. ჩვენის სიტყვების დასამტკიცებლად დავასახელებთ რამდენსამე ფაქტს.

აიღეთ სამეგრელოს სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებელი და შეადარეთ იგი საქართველოს სხვა სასულიერო სასწავლებლებს სწავლის მხრით. აშკარად დარწმუნდებით, რომ სამეგრელოს სასწავლებლის მოწაფენი სრულებით არ ჩამოუდგებიან უკან სხვა სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთ, თუმცა ამ სასწავლებელში ხსენებაც-კი არ არის მეგრულის ენის სწავლებისა. ეხლა აიღეთ სამეგრელოს წინა დროს სახალხო სკოლები, რომლებშიაც სწავლა ქართულს ენაზე სწარმოებდა, და შეადარეთ სხვა სახალხო სკოლებს. ამ შედარებიდამ ცხადად დაინახავთ, რომ სამეგრელოს სახალხო სკოლებში წინად სწავლა უფრო კარგად თუ მიდიოდა, თორემ ცუდად არასოდეს. აიღეთ ახლა სამეგრელოს ეხლანდელი სახალხო სკოლები და დააკვირდით, თუ რა ჭაპან-წყვეტით ეწევიან მოსწავლენი სწავლის საქმეს და რამდენს დროს ჰკარგავენ მეგრულის ასოების შესწავლაზე, მაგრამ თვალ-საჩინო ნაყოფი ჯერ არაფერი გვინახავს. სამეგრელოს ზოგიერთ სახალხო სკოლებში მოსწავლეთა რიცხვმა შესამჩნევად იკლო, რადგან ისინი მიეშურებიან სამრევლო სასწავლებლებში, სადაც სახელმწიფო ენას ასწავლიან არა მეგრულის ენის საშუალებით და შემწეობით, არამედ ქართულის ენის დახმარებით.

ამ საგანზე ასე გავაგრძელეთ სიტყვა არა მარტო ქართულის ენის დასაცავად, არა იმ შიშისა გამო, რომ თუ მეგრელებმა თავისს ენაზე დაარსეს მწერლობა, ქართული ენა დაილუპებაო, და არა იმისათვის, რომ აშორდიებს, პერეელზნიკებს და მსგავსთა მათთა ახირებულ მოსაზრებათ წინა აღვუდგეთ და ვებრძოლოთ, არა,—ეს ჩვენი და ჩვენის გაზეთის საქმე არ არის. ჩვენი ყურადღება მიქცეული აქვს სულ სხვა საგანს, სულ სხვა სამწუხარო და საშიშს მოლოდინს და ეს მოლოდინი ხალხის სარწმუ-

# ფელეტონი

## იალბუზის გარშემო.

(შემდეგი*)

ჩაის დალევის შემდეგ მე და თავ. თენგიზი ჩვენს ამხანაგებთან მივედით, ისმაილის სახლში. თავ. ჯ—ს წინ უდგა ბახსანის მამასახლისი. მამასახლისად იყო თავ. ურუსბეი, ისმაილის სახლი-კაცი. ჯ. და მამასახლისს ცხარე ლაპარაკი ჰქონდათ. თალმაჩად ჩვენი ცნობილი ხამუზა ჰყავდათ. მე რომ თენგიზთან წავედი, თავ. ჯ—ს მამასახლისი დაებარებინა და ექვსი კაცი და ათი ცხენი მოეთხოვა ყარაჩამდე. მამასახლისს ფორმისთვის სოფელი დაევლო, ვითომ-და კაცებისა და ცხენების საძებრად, მერე დაბრუნებულიყო და ეთქვა, რომ ვერც კაცები და ვერც ცხენები ვერ ვიშოვეო. ჯ—ს ამაზე გული მოსდიოდა და ამის გამო ჰქონდათ ცხარე ლაპარაკი. აქ თითქმის ისეთივე ამბავი იყო ჯ—სა და მამასახლისს შუა, როგორიც ენახეთ სვანეთში ფარისა და ჩუბეხევის საზოგადოებაში. მიზეზი-კი სვანეთში და აქ სხვა-და-სხვა იყო. სვანეთში ხალხმა გაუწია ურჩობა მამასახლისებს და ამიტომ ვერ შეასრულეს კომისიის მოთხოვნილება, აქ-კი, ბახსანს, ხალხი და მამასახლისი არაფერს შუაში იყვნენ, მიზეზი აქ თავ. ისმაილი იყო. ისმაილს უნდოდა ჩვენი დაბრკოლება, როგორც შემდეგ გავიგეთ, და დედის მისის შვილი იქმნებოდა მამასახლისი და მისი საზოგადოება, ისმაილის სურვილს გადუდგებოდნენ. მამასახლისი-კი ამას ვერ გვიმჟღავნებდა და ყველა მიზეზს ხალხს ახვევდა კისერზე. როდესაც ცარიელის ლაპარაკით ვერაფერი გააწყო ჯ—მ, ამოიღო ბარგიდგან ღია ფურცელი (**открытый листъ**), მამასახლისს ხელში მიაჩეჩა და უთხრა: აი ეს ფურცელი და თუ კაცები და ცხენები საჩქაროდ არ გიშოვნია, პასუხის გებაში ჩავარდებიო. ღია ფურცლის ხელში ჩაჩეჩებამ მამასახლისი ჩააფიქრა. დაღუნა თავი და სდურთა თავის კანცელარიაში, რომ მწერალს წააკითხოს და გაიგოს მისი შინაარსი. მწერლად მამასახლისს სამსახურიდგან სიმთვრალის გამო დათხოვნილი რუსი ჰყავდა. ყოველ შეხვედრაზე ეს რუსი სულ იმას შემოგვჩიოდა, რომ აქ, ბახსანში, კაცის ცხოვრება ძაღლის ცხოვრებააო, ზიარებისთვის რომ დაგჭირდეს, ერთ ცვარ ღვინოს ვერ იშოვი და ერთ ჭიქა არაყსაო. მართლაც, სასმელი აქ არაფერი იშოვება. იციან ორ ნაირი სასმელი „ვორაზ“-ი და „სიურა“ *), რომელნიც ცოტათი ლუდს მოაგონებენ კაცს, მაგრამ დათრობით არც ერთი არ ათრობს და სასმელადაც მიუჩვეველისათვის ძელგია. მამასახლისს ისმაილთან კაცი ეფრინა, მოდი, კომისიამ რაღაც ქაღალდი მომცა და რა ვქნაო. ისმაილი და მისი ძმა ხამუზა კანცელარიაში მისულიყვნენ, წაეკითხათ ფურცელი და გაეგოთ მისი შინაარსი. მამასახლისს კარგა ხანი დააგვიანდა კანცელარიაში. ეს ჩვენ გვიხაროდა, ვამბობდით,—სწორედ ეხლა მივაგენით ნამდვილს საშუალებას და ეს ფურცელი გასჭრისო, მაგრამ მწარედ მოვსტყუვდით! მამასახლისი დაბრუნდა ჩვენთან ღია ფურცლით ხელში და მუხლზე დაუდვა იქვე მჯდომარე ჯ—ძეს. მან სთქვა, რომ ამ ღია ფურცელს თერგის ქვეყანაში, სადაც ბახსანი ძევს, ძალა არა აქვს, რადგანაც მიცემულია ქუთაისის გუბერნატორისაგან და მარტო იმ გუბერნიაში გამოდგებაო. გულ-მოსულ ჯ—ძემ ვერაფერი პასუხი ვერ გასცა, რადგან მამასახლისი მართალს ამბობდა. ჩვენ და მამასახლისი მუნჯურად ვუყურებდით ერთი მეორეს. მამასახლისი ჩვენის ოთახიდამ გავიდა. დავრჩით იმედ-დაკარგული.

ფიქრს შემდეგ ჯ—ს ერთი აზრი მოუვიდა თავში: კერძოდ დავუძახოთ რამდენსამე კაცსაო, დიდი ქირა მივსცეთ და ეგება რამე გამოდნესო. ვსცადეთ ესეც, მაგრამ ამანაც უქმად ჩაიარა. მაშინ კომისიამ გადასწყვიტა ქაღალდით მოეხსენებინა ისმაილის მხრით ამ გვარი დაბრკოლება პიატიგორსკის ოლქის უფროსისათვის დავსწერეთ მოხსენება, დავბეჭდეთ და მამასახლისს დავუძახეთ. ჯ—მ უთხრა, რომ ეს ქაღალდი საჩქაროდ გაეგზავნათ ოლქის უფროსისთვის. მამასახლისმა ქაღალდს ხელი არ მოჰკიდა. მე ხელის მოწერა არ ვიცი, ჩემს მწერალს დავუძახებ და ის მიიღებსო. მამასახლისი ისმაილთან მისულიყო. როგორც აღმოჩნდა, ისმაილს ეთქვა, რომ არამც და არამც მამასახლისს კონვერტი არ მიეღო კომისიისაგან. მოვიდა მამასახლისი და გვითხრა, რომ ამ ორ კვირაში ის ქაღალდს ვერ გაუგზავნის თავის უფროსს და თუ მანამდე არ არის საჩქარო, მერე-კიო... ჩვენ, რასაკვირველია, მალე გვეჭირებოდა ქაღალდის გაგზავნა. ჩვენი მოხსენება ისევ ჩვენ დაგვრჩა. რა ვქნათ, არ ვიცით! თენგიზმა არჩია, ისევ სვანებს მივმართოთ, გაიყონ როგორმე ბარგი და ყარაჩამდე წაგვიღონ, მეტი ქირა მივცეთ და ეგებ დაგვიყოლიოთო. ეს შენ მოახერხე როგორმეო, უთხრა ჯ—მ თენგიზს. თენგიზმა სვანები შეჰყარა და როგორც იყო დაითანხმა ყარაჩამდე გაყოლასა და ბარგის წაღებაზე. ყარაჩამდე გზის მაჩვენებლად გვეჭიროდა კაცი. ერთმა სვანმა სთქვა, გზა მე ვიციო. ამასობაში სადილობამაც მოაწია. ისმაილის ბიჭმა შემოგვიტანა ტაბაკით ერთი ვეებერთელა ხორცჩართული პური (კუბად). პურში წვრილად ჩაჭრილი აღმოჩნდა მთელი ვერძი. მომტანმა პურს ზედა-კანი ამოსჭრა, თითქო საარაყე ქვაბს თავი ახადაო. შიგ ხორცი თავის წვენში მოხარშულ-დარგვალებულიყო. ძირს წვენი უდგა, რომელსაც პურის კანი გარე არ უშვებდა. ეს იყო ჩვენი და ჩვენის ბიჭების დღევანდელი სადილი. სადილზე ბევრი ვიცინეთ. გვაცინებდა ერთის მხრით ისმაილის ასეთი პატივისცემა სადილ-ვახშმად და მეორეს მხრით ისმაილისაგანვე ჩვენი დაბრკოლება. იმ ღამეს აქ დავრჩით. მეორე დღეს, 12 აგვისტოს, ბახსანიდამ უნდა გავსულიყავით.

დილით მთელი ბახსანი თენგიზის სადგომთან შეყრილიყო. გავიგე ეს და მეც მივედი. ყრილობიდგან ერთი კაცი წინ წამოდგა და დაახლოვებით შემდეგი უთხრა თენგიზს: ვსწუხვართ, სთქვა ბახსანელმა, რომ ვერაფერი პატივი გეცით, პატივი-კი არა-და, კიდეც გაწყენინეთ. შენ კარგად გიცნობთ და ისიც ვიცით, თუ რა დიდი ბურჯი ხარ ჩვენთვის სვანეთში. უშენოდ ერთი ბახსანელი ფეხს ვერ შესდგამს სვანეთში. მაგრამ რას ვიზამთ! კომისიის მოსვლა არავის გვე-

(* იხ. „ივერია“ №№ 100, 101, 102, 104, 107, 110, 111, 112 და 114.

*) საყურადღებოა, რომ ლუდს ძველ ხალხებიც ამ სახელს უწოდებენ, მაგალითად სანსკრიტულად—súra, და ზოგს სხვა ენაზე—sara, sur, ser, sör, sra... О. Шрадеръ, стр. 151.

ნოების შერყევაა და მწვალებლობის გავრცელება. ეს მოსალოდნელი სამწუხარო მოვლენა ზოგიერთ ჩვენს ბატონებს იმდენად აფიქრებს და აწუხებს, რამდენადაც წარსულის წლის თოვლი...

ვინ არ იცის, რომ ამ ოცის წლის წინადაც ზოგიერთებმა აიჩირეს მეგრულს ენაზე ღვთის-მსახურებისა და ლოცვების შემოღება ეკკლესიებში ამათ კიდეც მოაგვარეს ეს საქმე თავის სურვილისამებრ. ვინ არ იცის, თუ ამ მიზეზის გამო როგორ მიატოვა ხალხმა ეკკლესიები და წყევ-კრულვით იხსენიებდა თავიანთს სამღვდელოებასა და წირვა-ლოცვის ქართულიდგან მეგრულს ენაზე გადამთარგმნელებსაც?..

ზოგიერთ ჩვენს ნაცარ-ქექია პედაგოგებს ისე ადვილად მიაჩნიათ სხვა-და-სხვა ცვლილებათა შემოღება წირვა-ლოცვისა და სარწმუნოების საქმეში, როგორც რომელისამე სახელმძღვანელო წიგნის ხმარებიდამ გამორიცხვა და ორი-სამის წლის შემდეგ ხელ-ახლადვე მიღება. ამ ბატონებს ხალხის სარწმუნოებისა და ზნეობის საქმე სრულებით არ ესმით და არც მოეთხოვებათ. კაცს ის მოეთხოვება, რაცა აქვს, თორემ რაც არა აქვს, ის რომ მოვსთხოვოთ კიდეც, რას მივიღებთ?

სლავიანური ენა ძალიან დაახლოვებულია რუსულ ენასთან. ამას წინად რუსეთში განიზრახეს წირვა ლოცვის რუსულს ენაზე გადაღება, მაგრამ ვერ მოახერხეს. ვისაც რუსეთის საეკკლესიო ისტორია უსწავლია, ეცოდინება მიზეზი მწვალებელთა და განდეგილთა გამრავლებისა...

ჩვენი საქართველოს ეკკლესია დაარსებიდგანვე თვრამეტის საუკუნის განმავლობაში ღმერთს დაუფარავს შინაურ მწვალებლებისაგან და დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, გამოჩენილან ვიღაცა სარწმუნოებაზე ხელ-აღებულნი და თავიანთის უგუნურის ქცევითა და მოსაზრებით მწვალებლობის შემოღებას გვექადიან! ვინ არიან ესენი? ვინ მისცათ ამათ იმდენი უფლება, რომ ასეთი ცვლილება მოახდინონ წირვა-ლოცვისა და საღმრთო სჯულის სწავლების საქმეში?!

მთელს რუსეთის იმპერიაში არსებობს ერთად-ერთი დაწესებულება, უწმიდესი სინოდი, რომელიც განაგებს სარწმუნოებისა და ეკკლესიების საქმეს, და გარეშე ამ დაწესებულებისა არავისა აქვს უფლება რაიმე ცვლილება მოახდინოს წირვა-ლოცვისა და საღმრთო სჯულის სწავლების საქმეში. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ უწმინდესის სინოდისაგან არავითარი განკარგულება არ მომხდარა სამეგრელოში წირვა-ლოცვის მეგრულად შემოღებისა და საღმრთო სჯულის სწავლების შესახებ. ჩვენს საქართველოში, საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან, არსებობს უწმიდესის სინოდის განყოფილება, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა, რომელიც ამასთან სარწმუნოებისა და ეკკლესიების საქმესაც განაგებს. რამდენადაც გვახსოვს, მეგრულის ასოების შემოღებისა და წირვა-ლოცვის მეგრულად გადაღების შესახებ არა ყოფილა სჯა არც სინოდალურს კანტორაში, და ვიღაცა ერის კაცებს სრულებით არა აქვსთ უფლება ამ საპატიო საგანს შეეხონ უწმიდესისა და უმართებელესის სინოდის ნება-დაურთველად. შეუძლებელ საქმედ მიგვაჩნია თექვსმეტის საუკუნის განმავლობაში ხალხისაგან მიღებულ და ხმარებულ ლოცვებისა და წირვა-ლოცვის შეცვლა, რადგან ამ შეცვლილს წირვა-ლოცვას ხალხი ველარ შეითვისებს. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამ საყურადღებო საგანს ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს როგორც ჩვენის ქვეყნის სასულიერო, ისე საერო სამასწავლებლო მთავრობა.

(„მწყემსი“, № 9).

## ახალი ამბავი

** ოთხს ამ თთვისას, კვირა დღეს, ნაშუადღევის ორს საათზე, ვერაზე, ფოსტას ახლო, არტილერიის ქუჩაზე, შემდეგი უბედურება მოხდა. ერთმა სახლის პატრონმა, რომელსაც ლუდხანა აქვს გამართული, მუშა მიიყვანა ფეხის-ადგილის გასაწმენდად და დამპალის ფიცრების გამოსაცვლელად. როდესაც ოსტატი ფეხის-ადგილს ათვალიერებდა და როცა ფიცრები აჰყარეს, ფეხის-ადგილის ორმოში ჯერ ერთი კაცი ჩავარდა და შემდეგ მეორეც. ამ უბედურებას მიეშველა იქვე მყოფი ჯარის-კაცი, მაგრამ შველით-კი ვერა უშველა-რა, ხოლო თითონაც შიგ ჩავარდა. ეს ჯარის-კაცი, როგორც იყო, ამოიყვანეს და გრძნობაზედ მოიყვანეს. რამდენსამე წუთს შემდეგ ამოიყვანეს მეორეც, ჯერ კიდევ ცოცხალი, მაგრამ, როგორც ექიმს უთქვამს, ამისი მორჩენა საფიქრებელია. მესამეც ამოიყვანეს, მაგრამ გვიანღა, საბრალო კაცი დამრჩვალიყო. ეს ორი კაცი ქართველებია და ორივე ცოლშვილიანი ყოფილა. ამ გვარი და სხვა უბედურება ტფილისში იშვიათი არ არის. ამიტომ კარგი იქნება ქალაქის ტეხნიკოსებმა და სანიტარულმა კომისიამ ყურადღება ათხოვონ ძველს შენობებს.

** ნიკოზის ტაძრის მღვდელს მ. დავითაშვილს უპოვნია ამ ტაძრის კედელში, ორის საჟენის სიმაღლეზე, შემდეგი ძველი ნივთები: არქიელის კვერთხი სამ-ნაჭრად დასაშლელი, შავად შეღებილი; არწივი, რომელსაც ფეხ-ქვეშ უგებდნენ არქიელს, ძლიერ დაძველებული, წითელის მაუდისა, და ერთი სპილენძის ალთაფა, რომელზედაც შემდეგი ქართული ზედწარწერაა: „ქ. შემოგწირე. მე. ბაიდურმა. იოსებმა. წმინდასა. ნიკოლოზს. ეს. ალთაფა. ·.“ ქორონიკონი ამ წარწერისა არა სჩანს.

** ამ თთვის ოთხს, კვირას, აველაბარში საძირკველი ჩაჰყარეს წმ. მიხეილ მთავარ-ანგელოზის ეკკლესიისა: მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, ეგზარხოსი პალადი, მობრძანდა წმ. მარინეს ეკკლესიაში, სადაც ელოდებოდა სამღვდელოება. აქედგან ლიტანიით წავიდნენ ძველს მთავარ-ანგელოზის ეკკლესიაში. საძირკვლის ჩაყრასა და კურთხევას დიდძალი ხალხი დაესწრო. ახლო-მახლო ქუჩები და ეკკლესიის ეზო სულ ერთიანად ხალხით იყო გაჭედილი, ასე რომ ეზოში შესვლა ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა იმათთვის, ვინც ცოტა დაიგვიანა. კურთხევის შემდეგ მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა. შემდეგ ისევ ლიტანიით წამოვიდნენ მარინეს ეკკლესიაში. ახალი ეკკლესია იმ ზომისა იქნება, რომ 225 კაცს დაიტევს. ეკკლესიას აშენებს არხიტექტორი პორფიროვი.

** კვირა დღეს, 4 ივნისს, ტფილისში „სემეინი“ ბაღიდგან მტკვრის გაყოლებით წვიმა მოდიოდა, ნავთლუღშიაც იყო წვიმა, შუა ბაზარში, ეგზარხოსის მოედანზე და იმის ახლომახლო ადგილებში სეტყვაც მოვიდა. მცირეოდენი წვიმა მუშტაიდშიაც იყო.

** იმავე დღეს მუშტაიდში სახალხო სეირნობა იყო გამართული ლატარია - ალეგრითურთ ციმბირში გაგზავნილთა ყმაწვილთა სასარგებლოდ. ხალხი დიდ-ძალი შეგროვდა, ჯიბგირებმა აქაც იჩინეს თავი და სამიოდე კაცს საათი ამოაძრეს უბიდგან.

** **რაჭა**: სოფ. ზვერეთში სცხოვრობს ერთი ღრმად მოხუცებული დედაკაცი, მარიამ კირვალიძისა, ბედნიაშვილის ასული. ეს დედაკაცი, როგორც თითონ ამბობს და სხვებიც ემოწმებიან, უნდა იყოს ას ორმოცის წლისა. მარიამი ჯერ კიდევ ჯანმთელად არის, თვალიც კარგად უჭრის და ყურთა სმენაც კარგი აქვს. შარშან ეს მოხუცი სახლის აივანიდგან გადმოვარდა, მაგრამ მშვიდობით გადარჩა, ხოლო ერთი კვირა ავად-მყოფა. ცოტა რასმესაც აკეთებს სახლში. მარიამს ბევრი ძველი ამბავი ახსოვს და სიამოვნებით მოუთხრობს ხოლმე, როცა მსმენელი ჰყავს.

მეორე მოხუცებული დედაკაცი სცხოვრობს სოფ. ზეითში. ეს დედაკაცი ას ოცის წლისა იქნება. იგი მოესწრო შვილიშვილიშვილს, თორმეტის წლისას. ამ მოხუცებულს ყურთა სმენა აკლია. იმისი მოხუცებული ქმარი შარშან აღდგომას გარდაიცვალა და მოხუცმა ცოლმა ეკკლესიამდე გააცილა ცხედარი ფეხით.

** **იქადამგვე**: წელს ჩვენში რამდენიმე უბედურება დატრიალდა. სოფ. სხვაკაში გადიწვა გლეხი რაჭველაშვილი. ამ კაცს დიდი ოჯახი ჰქონდა: სულ ოც-და ათ სულამდე იყო ერთს ოჯახში მოთავსებული. სახლ-კარი სრულიად შთანთქა ცეცხლმა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ყმაწვილი ბიჭები იყვნენ, რომლებიც თოფს ისროდნენ. ერთმა თოფი მოახვედრა თივით სავსე ქოხს და აქედგან ცეცხლი მთელს სახლ-კარს მოედვა. მეორე უბედურება მოხდა სოფ. ბოყვაში: აზნაურმა მიხეილ ჯაფარიძემ ხუთგან დანა დაიკრა მუცელში და ამ სახით თავი მოიკლა. ჯაფარიძე ოც-და ათის წლის კაცი იყო და სულ ხუთის კვირის ჯვარ-დაწერილი.

** **რუისი**: აქაურს სკოლაში ვაჟებს გარდა სწავლობს ოც-და-ხუთამდე ქალი, რომელთათვის საჭიროა ხელ-საქმის შესწავლა: ქსოვა ხალიჩისა, ფარდაგისა, შალისა და სხვ., ხოლო სკოლას არა აქვს იმდენი სახსარი, რომ მოიპოვოს არამც თუ ამ ხელ-საქმის მასწავლებელი, არამედ შეიძინოს ხელ-საქმისათვის საჭირო ნივთებიც. ამიტომ სკოლის მასწავლებელს, ბ ნ ი. ავალიშვილს,

---

ამა, ნამეტურ ისმაილის, და იმის გამოჯავრებით შენც ვერას გემსახურეთ. მარტო რომ მობრძანებულიყავით, ჩვენ ვიცოდით რა პატივისცემითაც მიგიღებდით და გაგისტუმრებდით, გთხოვთ, არ დაგვემდუროთ. თუ იკადრებთ, საზოგადოებას სურს, რომ რაც აქედამ ყარაჩამდე საკლავი მოგინდებათ შენ და სვანებს, სოფელმა მოგართვათ თენგიზმა მადლობა გადაუხადა საზოგადოებას და დაუმატა: მე კარგად ვიცი თქვენი ამბავი, თქვენ აქ არაფერ შუაში ხართ, ეს ყველაფერი ისმაილის ბრალია, მაგრამ სვანებმა კარგად ვიცით ავისა და კარგის გადახდა, ნამეტურ ავისა, აქ თენგიზმა ხმა აუმაღლა: ასე გადაეცით ჩემს ძველს მეგობარს, თქვენს ისმაილს. ის ბატონია მარტო თავისს სოფელში და მე-კი მთელს სვანეთში და სხვა-და სხვა!

ბარგის მილაგ-მოლაგებამ, დაყოვნებამ მებარგულ სვანთა შორის იმდენს ხანს გასტანა, რომ საღამოს ჟამს ძლივს დავახწიეთ თავი ბახსანიდამ. ბახსანის ანუ ურუსბეის საზოგადოება სძევს მდ. ბახსანის მარცხენა ნაპირზე. ჩრდილოეთიდამ სოფელს შუაში ჩამოუდის მოზრდილი მდინარე, რომელზედაც მცხოვრებლებს წისქვილები გაუშენებიათ. შენობები ბახსანელებისა ხისაა და თავის ბანებით ქართლის მიწურებს მოგაგონებს. დღიურში მეკომურთ რიცხვი 273 მიწერია. ჩემს მერე 1885 წ. აქ იყვნენ მოსკოვის პროფესორები ბ-ნი ივანიუკოვი და კოვალევსკი. იმათის სიტყვით, ხსენებულს წელს მეკომურთ რიცხვი ყოფილა 294, ხოლო მცხოვრებთა 2200 სული. თავი და თავი ცხოვრების წყარო აქ საქონლის მოშენებაა. იმავე პროფესორების სიტყვით, 1885 წ. მთელს საზოგადოებას ჰყოლია მსხვილი საქონელი 4860 ცალი ცხენებიანად, ხოლო ცხვარი ორმოც-და-რვა ათასამდე. სახაზინო ბეგარა ხდებათ აქ: მდიდარს მეკომურს ექვს მანეთზე ცოტა მეტი, ღარიბს-კი არა ნაკლებ მანეთ-ნახევრისა. ეხლანდელი ურუსბიელები და ძველი ქამუკელები, ან ბახსანელები ეკუთვნიან იმ მთიულებს ჩრდილოეთის კავკასიისას, რომელთაც ყაბარდოს მთიულებს ეძახიან (Кабардинскіе горцы). ბახსანელებს რჯული მაჰმადისა აქვთ და ლაპარაკობენ კილო შეცვლილ თათრულს ენას. ბ-ნ ზაგურკის გამოკვლევით **), ყაბარდოს მთიულების რიცხვი ცამეტ ათას სულს აღემატება. სცხოვრობენ იგინი მალყარში, ან ბალყარში, ბიზინგიში, ხულამს, ჩეგემს და ბახსანში. ამბობენ, ეს მთიულები ენით მონათესავე არიან კუმუხების (кумыкъ) და ნოღაელებისა, მაგრამ ამას ჯერ-ჯერობით შემოწმება უნდაო. . ნოღაელები (ногайцы) შემოსულან ჩრდილოეთ კავკასიაში მე-XII საუკუნეში. მათ სხვათა შორის დაუჭერიათ ეხლანდელი ყაბარდოელების ადგილ-ბინა. მე-XIV საუკუნეში ნოღაელები გაუდევნია ადიგეს (адыге), რომლის შთამომავლობად ითვლებიან ყაბარდოელები. ამბობენ, ადიგე მარტო დიდ-ყაბარდოს დაეპატრონა და მთებში-კი ისევ ნოღაელების შტო დარჩა, საიდგანაც გაჩნდნენ ყაბარდოს მთიულებიცაო, მაგრამ ეს ძნელი დასაჯერებელია. ნამდვილად დღეს მიაჩნიათ და მიაჩნდათ არა უსაბუთოდ, რომ ის ადგილები, სადაც დღეს ყაბარდოს მთიულები სცხოვრობენ, უწინ ეჭირათ ქრისტიანს ოსებს. შემდეგში ეს ოსები განდევნეს ყაბარდოდამ გადმოსულებმა და დღემდე მანდ სცხოვრობენ. მალყარზე, ბაზინგიზე და ხულამზე გადაჭრით ვერას ვიტყვით, ხოლო რაც შეეხება ბახსანელებს და ჩეგემლებს, ისინი ჩვენს დროს არიან გადმოსული ყაბარდოდამ და ამაზე ეჭვის შეტანა ის იქნება, კაცმა რომ სთქვას (და ამბობენ კიდეც), რომ მეგრელები, გურულები და სვანები ქართველების მონათესავენი არ არიანო. მაგრამ თავი დავანებოთ ამ ისტორიასაც. ჩვენი საქმეა თვალით ნახულისა და ყურით გაგონილის აღწერა და ისევ იმას მივუბრუნდეთ.

სოფლიდამ გამოსვლისას ხალხი თავ-მოყრილი იყო. მამაკაცები ჩერქეზულად იცვამენ. ხალხი ლამაზია. ქალებზე ვერას ვიტყვი იმიტომ, რომ თუ არ შორს, ახლო ვერავინ დავინახე და ისინიც ჩადრ-ჩამოფარებული. ხალხში რაღაც ხუმრობა-სიცილი ისმოდა. მარტო ისმაილს შეეკრა წარბები და უკმაყოფილოდ გვიყურებდა. მივედით მასთან, თენგიზის გარდა, ხელი ჩამოვართვით და მადლობა გადავუხადეთ პურ-მარილისათვის. ყველანი მოხარული ვიყავით, რომ ბოლოს, როგორც იყო, მოვსცილდით ბახსანს. ეტყობოდა, არც ბახსნელები სწუხდნენ ჩვენს მოშორებას. ახირებული ბედი დაგვდევდა ამ მოგზაურობის დროს: სადაც-კი სოფლად შევედით (ხურმუკს გარდა), ყველგან უსიამოვნებას შევეყრებოდით ხოლმე. მთაში კი, სადაც მაწუხებელი არავინა გვყავდა, მხიარულად ვატარებდით დროს. იმ დღეს სამი საათი ვიარეთ და დაღამებულს ერთს მინდორში დავდექით. ბახსნელების მოცემული ხარი სვანებმა უცებ წამოაქციეს და დაჰკლეს ზვარაკად. ომანა სვანს, რომელიც უფროს მზარეულად გვყავდა მიჩენილი, დავეკითხე: რამდენი საკლავი შევიჭამია-მეთქი მას აქეთ, რაც სოფ. თავერარიდამ გამოვდით, და აღმოჩნდა, რომ 5—13 აგვისტომდე დაგვიკლავს 27 ცხვარი, 8 მოზვერი-ხარი და ორიც ჯიხვი, რომელიც მონადირე სვანმა მოჰკლა გზაზე. ვივახშმეთ და მალე მივეცით თავი ძილს. მასლაათი აღარ გაგვიგრძელებია ნავახშმევს, რადგან კომისიას სასმელი არაფერი ჰქონდა და უამისოდ ლაპარაკი თავს არ მოდიოდა.

მეორე დღეს, 13-ს, ჯორი გაგვიხდა საძებრად და იმის მონახვამ 11 საათამდე შეგვაჩერა. ამ დროს სვანეთიგან თენგიზს ბიჭები მოუვიდა. თან მოგვიტანეს ქუთაისში ნაყიდი შვიდი ბოთლი არაყი, თუთუნი, ჩაი, შაქარი და საკუთრივ თენგიზისათვის ასი სოროლა ბერდანკისა. არაყის დანახვაზე თვალები გამოჰკიტა ზოგიერთმა კომისიის წევრმა. უცებ გაიცა ბრძანება, რომ ბიჭებმა მწვადები შესწვან. ბრძანება ასრულდა და ერთი ბოთლი არაყი აქვე შევიწირეთ. აქედამ ჩვენი გზა დასავლეთს მიდიოდა და იდვა იალბუზის ჩრდილოეთ კალთებზე. მივდიოდით ყარაჩას. გზა ყველგან საცხენოსნო იყო. რადგან ეს ადგილები საძოვრად აქვთ ბახსნელებსა და ყარაჩელებს, იალბუზზე მობმული ვრცელი საჯოგეები მოფენილი იყო ბახსნისა და ყარაჩას საქონლით. ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა გზაზე ცხენისა, ხარ-ძროხისა და ცხვრის ჯოგები. გავიარეთ თუ არა ცოტა მანძილი ჩვენის ბინიდგან, თვალწინ აგვეყუდა იალბუზი თავისის თვალგაუწვდენელის ჩრდილოეთის ფერდით. ფერდი თავიდამ ძირამდე გადა-

**) „Этнологическая классификація Кавказскихъ народовъ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუზრახავს ლატარია-ალეგრი გამართოს 6 მარიამობისთვის, ფერისცვალობა დღეს, სოფ. რეხაშიში, ბ-ნ ეველიშვილს იმედი აქვს, რომ საზოგადოება დაეხმარება ამ კეთილს საქმეს ნივთების შეწირვით.

** გაზეთ „კავკაზს“ გაუგონია, რომ ტფილისის სემინარიის რექტორი არხიმანდრიტი პავლე გადაყავთ ტფილისიდგან და დაუნიშნავთ ელიდიმონ-ვილინის მონასტრის წინამძღვრად არხიმანდრიტ ალექსანდრეს მაგიერ, რომელიც ხურავს ეპისკოპოსად დაინიშნა.

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ ადგილი უბოძოთ ამ ჩემს მცირე შენიშვნას:

უმორჩილესად ვუცხადებ ქართველ საზოგადოებას, რომ ნიქოზის ტაძრის კომიტეტმა გადაწყვიტა ამ თიბათვიდგან შეუდგეს განახლებას ჩვენის მოხუცებულის ტაძრისას. კომიტეტი დაიცავს ძველს არხიტექტურას ტაძრისას, ასე რომ არ დაუკარგავს ძველს ხასიათსა და აგებულობას. კომიტეტს იმედი აქვს, რომ საქართველოს და ქრისტეს მოძღვრების ყველა ერთგული მამულიშვილი ხელს შეუწყობს და ღონისძიებას მისცემს კიდევ თხუთმეტი საუკუნე და მეტიც აცოცხლოს დიდებული ტაძარი ნიქოზისა.

მღვდელი ივანე დავითაშვილი

სოფ. ზემო-ნიქოზი

## საღებავი მიწა ჩვენში

კარგა ხანია საღებავ მიწებსა და წამლებსა ვხმარობ და სახლებისა და სხვა-და-სხვა შენობის შეღებვას ვკისრულობ. აქამდე საჭირო საღებავს მიწებსა და ნივთიერებას თითქმის განსაკუთრებით რუსეთიდამ და საზღვარ-გარეთიდამ ვიბარებდი და დღესაც არა იშვიათად ვიბარებ. ასევე იქცევიან სხვა ჩემის ხელოზის კაცნი. წელიწადში რამდენიმე ათი და ათასი ფუთი მიდის ჩვენში სხვა-და-სხვა საღებავი მიწა და წამალი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის ქარხნებბიდამ მზად გაკეთებული და საქმეში პირდაპირ სახმარებელი. ათი და ასი ათასი ფუთი შემოდის ეს საღებავები და ათი და ასი ათასი მანეთიც მიდის ჩვენის ქვეყნიდამ ყოველ ამ მასალისათვის, მაშინ როდესაც ყოველ გვარი საღებავი მიწა თვით ჩვენს ქვეყანაში მრავალია და ისეთი, როგორიც საზღვარ-გარეთიდამა და რუსეთიდამ მოგვაქვს: ოხრა, მუმია, უმრა, ინგლისის მიწა, თეთრი მიწა (баритъ), ცარცი, ანუ მელი და სხვა. ყოველივე ეს საღებავი მიწები ჩვენშიაც ბევრი მოიპოვება: მთელი სამაჩაბლო, ერწო და წონა ცხინვალის ხეობაში სავსეა საღებავის მიწით. თითქმის მთელი მთებია ასეთის სამღებრო მასალისა. მე თითონ ვნახე ეს მთები, ჩამოვიტანე იქიდამ ნიმუშები, გავგზავნე საზღვარ-გარეთ გასასინჯად და აღმოჩნდა, რომ ის მიწები მშვენიერის თვისებისაა. ბევრია აგრეთვე ოხრა, ინგლისის მიწა, უმრა და სხვანი ბ-ნ ი. კერესელიძის მამულში ტფილისს ახლო. სურამის ცარცი ხომ შესანიშნავია თავის კარგის ღირსებით. აი ამოდენა სიმდიდრეა ჩვენში საღებავის მიწებისა, მაგრამ დღემდე მათი შემუშავება და დამზადება არავის არ უკისრია, არავის ამ სახეირო საქმისათვის ხელი არ მოუკიდნია და ამის გამო მადნის პატრონიც ვერასა სარგებლობს და ქვეყანაც დიდს ზარალშია, რადგან იძულებულია შორიდამ დაიბაროს ყოველივე ეს და ერთი-ორად ძვირად დაისვას.

ამ ბოლოს დროს შემოიღეს ხმარება ჩვენებურის საღებავის მიწებისა, მაგრამ ძალიან მცირედ. მერე, რაკი იმის შემუშავების ქარხნები არ არის ჩვენში, ამ მიწებს ფასი ძალიან მცირე აქვს. სურამის ცარცი, მაგალითად, წელიწადში ოცი ათას ფუთამდე გადის, მაგრამ ფუთში, სურამიდამ მზად მოტანილში, ტფილისელები იძლევიან მხოლოდ ერთს აბაზს. ეს მელი რომ ცოტაოდნად შემუშავდეს, გაიწმინდოს და გაიცრას, თამამად დაიჭერდა რუსეთის მელის ადგილს, რომელიც მოგვაქვს ბელგოროდიდამა და უაზანიდამ და რომელიც ფუთი სამ უზალთუნზე მეტი ჯდება. ზემოდ მოხსენებული თეთრი მიწა (баритъ) მოგვაქვს საზღვარ-გარეთიდამ. ეს მიწა ალებასტრის მსგავსია და ძვირად ღირს: ადგილობრივ იყიდება ფუთი ცხრა აბაზად. ჩვენში-კი ეს მიწა მრავლისაგან მრავალია: მთელი მიდამო სოფელ კასპის რკინის გზის ახლო სავსეა ამ ბარიტით. ეს ფასი სწერია პრეისკურანტებში (კიუნისა და ოსოვეცკისა პეტერბურგსა და მოსკოვში, როდოკონაკისა, ბერგისა და ცილინსკისა ოდესაში). ჩვენში რომ შემუშავდეს ეს მიწა, არა მგონია, ფუთი ათ შაურზედ მეტი დაჯდარიყო.

აი ასეთი ახალი წარმოება შეიძლება გაჩნდეს ჩვენში, ასეთი ახალი წყარო კეთილდღეობისა დაიბადოს და ჩვენ-კი სულ არა ვზრუნავთ ამ საქმისათვის. წელს გამოფენისათვის მე ცალკე ფარდული მექნება გამართული და იქ მინდა გამოვფინო ყველა აქაურის საღებავ მიწების ნიმუშები. ამიტომ ვსთხოვ ყველას, ვის მამულშიაც რომელიმე საღებავი მიწები არის, გამომიგზავნონ ნიმუშები გასასინჯავად გამოფენაზე. იქნება ღმერთმა ჰქმნას მაქციონ ამ საქმეს ყურადღება და ქვეყანამაც ხეირი ნახოს ამ საქმით და თვით მამულისა და საღებავების მადნების პატრონთაც.

ვისაც სურდეს ნიმუშების გამოგზავნა გამოსაყენად, ამ ადრესით გამოჰგზავნოს: Тифлисъ. Заводъ масляныхъ красокъ, А. Тутаеву.

ა. თუთაევი

## წვრილი ამბები

ამას წინად ინგლისში გამოვიდა კრებული სიყვარულის წერილებისა. ეს წერილები ნამდვილია და ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის გამოჩენილთა კაცთა კალამს. ამ წერილების გამომცემელი არვეზ ბარონია, საფრანგეთის გამოჩენილი მწერალი, რომელიც ბარონს პსევდონიმად აწერებს, და, გგონებთ, ქალი უნდა იყოს. ამ მწერალს აზრად აქვს ის გამოაშკარაოს, თუ რომელს კაცს სიყვარული როგორ ალაპარაკებს, როგორ უდგამს ბულბულის ენას. ამ წერილების წაკითხვისათანავე ადამიანს ის მოსდის ფიქრად, რომ, როგორც სხვაფრივ, ისე აქაც კარგია ადამიანმა თავისი ხელობა მირიან-ფესვიანად იცოდეს. ვერავინა ჰყოფს უარს, რომ ავაზაკთა და უპატიოსნო კაცთა სიყვარულის წერილები უფრო მოხდენილად, უფრო ლამაზად, გრძნობით და მჭევრმეტყველად არის დაწერილი, ვიდრე პატიოსანის კაცებისა. ავაზაკს, გამოცდილების გარდა, ის უპირატესობა აქვს, რომ არაფრის წინ არ დაიხევს უკან, ყველაფერს იტყვის, რაც-კი ენის წვერზე მოადგება, და ტყუილი იქნება, თუ მართალი, არას დაეძებს. სიყვარულის საქმეში დროსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ყველა ხანას თავისი სიყვარული აქვს. ამას გარდა ამ საქმეში მცირე ადგილი არ უჭირავს აგრეთვე იმ ადამიანის ხელობასაც, რომელიც სიყვარულის წერილსა სწერს. პოეტთა სიყვარულის წერილები მეტად მშრალად არის დაწერილი, გრძნობა-შეურევლად. ვინ იცის, იქნება მთელს თავის გრძნობათა სალაროს ლექსებს ალევდეს პოეტი და სიყვარულისთვის გამოლეული ჰქონდეს. ინგლისის სამეფო სახლის პრინცების სიყვარულის წერილები თითქმის სულ ერთ გვარად არის დაწერილი და მათ შორის ძალიან მცირე განსხვავებაა. ჰერცოგი კუმბერლენდისა მარტო იდენ ამას იმეორებს თავისს წერილებში: „ჩემო ანგელოზო, ჩემო კეთილო ანგელოზო, ჩემო საყვარელო ანგელოზო“. ჰერცოგი იორკისა: „ჩემო სიყვარულო და ანგელოზო, ჩემო ტკბილო სიყვარულო“. გიორგი IV იმეორებს: „ზოროტო მარგარიტავ! მშიერო მარგარიტავ! ახ, სასტიკო მარგარიტავ!“ შეუვარებული ფილოსოფოსები თავისს წერილებში მეტად მშრალნი არიან და უგრძნობელნი. მეცნიერების წერილები მოკლედ და პატივისცემით არის დაწერილი. ჯარის-კაცები ნაზად და გულ-ღმობიერადა სწერენ. დრამატიულ მწერალთა სიყვარულის წერილები უშველებელი ტირადებია და დრამიდგან ამოღებულს მონოლოგსა ჰგავს.

— ვის არ უნდა ეხლა პარიჟის მსოფლიო გამოფენაზე დასწრება, ვის არ მიუწევს და მიურბის გული იქითკენ, მაგრამ მზატე ჯიბე ეჭიდება გალაღებულს ოცნებას და ისე გამოაფხიზლებს ხოლმე, როგორც ნასვამს კაცს თავზედ დასხმული ყინულის წყალი. დიაღ, ყველა ტუჩების ცმაცვნით იგონებს ამ ჟამად პარიჟის გამოფენის სიტურფეს, სიმშვენიერეს, იმ საკვირველებათა ხროვას, რომელიც იქ წარმოუდგება ადამიანის თვალს, მაგრამ უფულობა, წყეულის ლითონის უქონლობაა მიზეზი, რომ პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ დასწრების ცხოველი სურვილი მარტო ტუჩების ცმაცვნით-და იოხებს გულს. სწორედ ამავე უღონობის მიზეზით რუსეთის ერთის რკინის გზის მოხელე-მოსამსახურეთ შემდეგი ახირებული ლატარია გაუმართავთ. რადგან ყველას ღონე არა ჰქონია გამოფენაზედ დასწრებისა, ამ მოხელეთ ამოუღიათ 3-დგან 10 მან. ფული, შეუგროვებიათ 600 მანეთამდე და ლატარიაში ჩაუგდიათ იმ პირობით, რომ ვისაც ერგება ეს ფული, უეჭველად პარიჟში უნდა წავიდეს და ამ საგნის გარეშე ერთი ფლურიც არ უნდა დახარჯოსო. ადვილად შესაძლებელია, რომ ქსლანდელმა საერთოდ აღძრულმა სურვილმა პარიჟში ყოფნისამ ამ გვარის ლატარიის გამართვა გაავრცელოს და ზოგიერთ რჩეულთ შეძლება მისცეს სამის მანეთით პარიჟში ამოჰყოს თავი და ეიფელის კოშკისა და გამოფენის სხვა მშვენიერებათა ცქერით დასტკბნენ.

# დეპეშა

3 ივნისი

პეტერბურგი. დღეს, ნაშუადღევის მეორე საათზე, დიდის ამბით მობრ.

---

ლესილი იყო თეთრისა და დაუდნობელის თოვლით. ჩვენი გზა ყარაჩამდე თითქმის სულ ამ თოვლის ძირას მისდევდა. როდესაც ყარაჩას საჯოგეებში გადავედით, ცას საავდრო ღრუბლები გადაეკრა მალე წვიმაც დაუშვა, მაგრამ მალევე გადიღო. წვიმას სქელი ნისლი მოჰყვა, ისეთი სქელი, რომ ხუთის ნაბიჯის მანძილზე ერთი მეორეს ვერა ვხედავდით. ვიარეთ სალამომდე და ერთს ყოშს მივადექით. ღამე აქ დავბინავდით. მწყემსმა თავისი ყოში დაგვითმო. ყოში ისეთი პატარა აღმოჩნდა, რომ ორი კაცი ძლივს მოთავსდა შიგ. დანარჩენები გარეთ დავსწევით, მინდორში. ვახშამზე დიდი ბაასი გამოიწვია არაყის ერთისა თუ ორის ბოთლის დალევამ. კომიისის წევრები ორ დასად დაიყვნენ: ერთი დასი ამტკიცებდა, რომ კმარა ერთი ბოთლი არაყი ვახშმად, რომ სმა-ჭამა ხვალაც და ზეგაც მოგვინდება და გამოზოგვით ხმარება სჯობია სასმელისა, ვიდრე ერთად შეხვრიპაო, მაგრამ მეორე დასი თავ-გამოდებული თხოულობდა, რომ ორი და არა ერთი ბოთლი არაყი შეგვესვა. სხვებრ რომ ვერაფერი გააწყო ორ ბოთლ არაყის დალევის მომხრე დასმა, საღმრთო წერილის სიტყვებს მიჰმართა და სთქვა: ნათქვამიაო, რომ „ხვალემა იზრუნოს ხვალისთვის“ და „შეხედეთ მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არა მკიან, მაგრამ ღმერთი ასაზრდოებს მათო“... ამ ტექსტის შემდეგ ვის რაღა ეთქმოდა და შეისვა ორი ბოთლი არაყი. როდესაც მეორე ბოთლი გამოიწურა, ერთმა ბახუსის თაყვანის-მცემელმა სტაცა ცარიელს ბოთლს ხელი და იალბუზისაკენ გადისროლა. თავის ფიქრით მწვერვალზე უნდოდა აეგდო, მაგრამ მწვერვალამდე ბევრი დააკლდა და მინდორში მწოლარე დალალულ სვანის თავთან დაენარცხა. ბედი, რომ ბოთლი სვანს ასცილდა, თორემ, როგორც მოურიდებლად წამოიძახა სვანმა, ამის მსროლელს „მეშხალეთს“ (შავს ღამეს) დავაყენებდით. ორს გარდა ყველანი მინდორში დავსწევით. სწვიმდა. ნაბდებში გამოვეხვიეთ. ახლად დაწოლილს გარკვევით მესმოდა წვიმის ცვრების ჩქიფ-ჩქიფი ჩემს ნაბადზე, რომელთაც, როგორც მდინარის შუილმა, მალე ძილად მიმაგდეს. ერთი რამ მაწუხებდა: ვაითუ მთელი ღამე იწვიმოს, წვიმამ ჩემს ნაბადს გასტანოს და ტანში შემიდგეს მეთქი, მაგრამ ჩემი ნაბადი ისეთის კარგის კანისა აღმოჩნდა, რომ შიში ჩემი და სასიამოვნოდ არ გამიმართლდა. სწორეთ უკვდავებაა ნაბადი მგზავრობაში. დღე გიფარავს წვიმა-სიცივისაგან და ღამე იგია შენი ლეიბსაბანი. როგორც იმ ღამეს, ისე სხვების მოგზაურობის დროს ჩვენ ნამდვილად გვეთქმოდა: „ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბდები, გამთენებელი ღამისა“.

რა მოხდა იმ ღამეს, ვერაფერი გავიგე, ისე მაგრა დამძინებოდა. გათენებისას-კი ფეხებზე სიცივე ვიგრძენი, გამოვყავი ნაბდიდამ თავი და შევხედე ცას: ცა სარკესავით იყო, ერთი ნამცეცი ღრუბელი არ ეკარა. უკუ ვაგდე ნაბადი, რომელიც წვიმისაგან გაწუწული იყო, და ჩემს ამხანაგებს დავუწყე ღვიძება. რამდენსამე კიდეც გაეღვიძათ, მაგრამ ნაბდებიდგან თავის გამოყოფა ვერ გაებედნათ, ასე ჰგონებდნენ, რომ ისევ სწვიმსო. მალე ყველანი ფეხზე ვიდგვით და ერთმანეთს ვულოცავდით დღევანდელს დარს. მართლა რომ საუცხოვო რამ იყო იმ დღის დილა! მარცხნივ გვედვა იალბუზის თეთრი ფერდი და სამივე კუთხით გაშლილი საბალახო ადგილები მოფენილ ჯოგებით. ყოშის ირგვლივ ამ ყოშისავე პატრონის ჯოგი საძოვრად გაუშლელი იყო. მწყემსს, როგორც ყოველ-დღეს, ვერზის ჯოგი ცალკე ეყენა, მაწველის ცხვრისა ცალკე და კრავებისა ცალკე. ძლიერ გვეამა გამოდარება და სიხარულით ფეხზე აღარ ვიდექით. ჩვენის ბინის ახლო მდინარე ბალიყი გადმოდიოდა. ეს მდინარე პირველად ჩრდილოეთისკენ მიდის, მერე უხვევს აღმოსავლეთით. მდინარე ბალიყისავე ახლო იალბუზის კალთიდგან გადმოდიოდა ღელე. რამდენსამე მანძილს რომ გაივლის, უერთდება მდაბიო ბალიყს და შეერთებისას აჩენს წყალვარდნილს, რომელსაც დაახლოებით ხუთი საჟენი სიმაღლე ექნება. ღელეს სათავეში, ზედ იალბუზის ძირში, ორ ადგილას ამოჩუხჩუხებს (гейзеръ) რკინის თბილი წყალი. წყალი იმხელაა, რომ წისქვილის ქვებს დაატრიალებს და ძლიერ ღონივრად ამოჰქუხს მიწიდამ. წყალს თითონ გაუკეთებია ბუნებითი აუზი. ამ თბილს წყალზე აქ მისვლამდინაც ბევრი გამეგონა და ამისათვის მოვინდომე იმისი გასინჯვა. თუმცა ადრე იყო, მაგრამ ჩემს ამხანაგებს ვსთხოვე აქ დაგვესვენა და სადილი გვეჭამა. ყველანი ნებას დამყვნენ. ცოტა რომ დავისვენეთ, საბანაოდ ჩავედი წყალში. როდესაც განგებ იმ ადგილას გადავაწყვი წყალს, სადაც უფრო ცონივრად სცემს, ძირიდამ ნაფოტისავით ამისროლა ზევით. ეს ცდა რამდენჯერმე გავიმეორე და ან ზევით ამომაგდებდა ხოლმე წყალი, ან გვერდზე გამისროდა. ტერმომეტრით გავსინჯე წყალი და აღმოჩნდა, რომ 18°R სითბო ჰქონდა. იქვე გამომდინარე ორი წყარო რომ გავსინჯე, ერთს 4°R ჰქონდა და მეორეს 5°R. თბილ წყალს ბევრი გაზი აქვს. როდესაც პირით ჩავეყუდებოდი, იმდენი გაზი შემიდიოდა ცხვირში, რომ თვალთაგან ცრემლებსა ვყრიდი. ახლო-მახლო მცხოვრებნი ამ თბილს წყალზე ხშირად დაიარებიან თურმე საბანაოდ. აქ რამდენსამე ადგილას საფლავის მსგავსი მიწის ორმო იყო ამოთხრილი. ავადმყოფს ჯერ აბანებენ წყალში, შემდეგ ამ ორმოში, რომელსაც წინდაწინვე ახურებენ ცეცხლით, ჩააწვენენ. როდესაც ორმოს კედლები გახურდება, ცეცხლს ამოჰყრიან, შიგ ჩააგებენ თივას, იმაზე ნაბადს, მიიყვანებენ წყლიდამ ავადმყოფს, ჩაუშვებენ ორმოში, ზედ საბანს, ნაბდებსა და, თუ დასჭირდა, თივასაც დაახურავენ და ოფლს ადინებენ. მითხრეს, რომ ამ გვარი ბანაობა ბევრ ნაირს სნეულებასა ჰკურნებსო. ამავე ადგილას ექვსი კონუსის მსგავსი გორაკი იყო ამართული. თენგიზის სიტყვით, ეს გორაკები გაჩენილა ამ ნაირად: ქარს სილა მოუგროვებია აქ, შემდეგ თანდათან უყრია და მიუქვავებია. ყარაჩაში ვიკითხე და იქაურებმა მითხრეს, რომ ამ გორაკების გაჩენა საქმეა „ხელთა უფლისათაო“. როდესაც ბანაობასა და საჭირო ცნობების მოკრებას მოვრჩი, სადილი გავშალეთ. სანამ ჩვენ სადილს შევექცეოდით აქ, იალბუზის ძირში, მე მინდა მკითხველს რამდენისამე სიტყვით ავუწერო იალბუზი.

თავ. სვანი

(შემდეგი იქნება)

ძანდა პეტერბურგს დანიშნული დიდის მთავრისა პავლე ალექსანდრეს ძისა, მეფის გიორგის ასული ალექსანდრა, რომელიც პეტერგოფიდამ ჩამობრძანდა იახტა „Александрія“-თი მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა და უმაღლესობათა თანა. სულ 18 ოქროს ეტლით მობრძანდებოდნენ ქორწინების ხალხნი. დანიშნული და ხელმწიფე იმპერატრიცა ერთს ეტლში ბრძანდებოდნენ. ამ ეტლს გარშემო ცხენებით მოჰყვებოდნენ: ხელმწიფე იმპერატორი, მეფე საბერძნეთისა, მემკვიდრე ცესარევიჩი, ჰერცოგი სპარტისა და დიდნი მთავარნი. მეორე ეტლში ბრძანდებოდნენ: დედოფალი საბერძნეთისა და ჰერცოგინია ედინბურგისა. ყაზანის ტაძრის წინ მათ უდიდებულესობათა და უმაღლესობათ მოეგება მიტროპოლიტი ისიდორე ჯვრითა და აიაზმის წყლით. ტაძარში შებრძანდნენ კარის მოხელეთა წინ-გაძღოლით: ხელმწიფე იმპერატრიცა საბერძნეთის მეფითურთ, ხელმწიფე საბერძნეთის დედოფლითურთ, მაღალ-დანიშნულნი სამეფო სადედოფლო, ჰერცოგი სპარტისა ედინბურგის ჰერცოგინიათურთ და მემკვიდრე ცესარევიჩი მარიამ პავლეს ასულითურთ. 2 საათსა და 35 წუთზე ყველანი სასახლეში მობრძანდნენ. გაისროლეს 101 ჯერ ზარბაზანი. სასახლის დიდ ტაძარში მიეგება ყველას მოძღვარი მათ უდიდებულესობათა იანიშევი. გზა და გზა ქუჩებზე ჯარები იყო მწკრივად არიგებულ-ჩარიგებული.

4 ივნისი

პარიჟი. უკვე განხილული საბუთები და მოწმეთა ჩვენებანი საკმაო მასალას იძლევა, რომ ბულანჟეს საქმეს მსვლელობა მიეცეს. კომისია მაინც განაგრძობს განხილვას იმ მიწერ-მოწერისას, რომელიც ამას წინად ჩაუვარდა ხელში.

5 ივნისი

პეტერბურგი. 4 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზე, ცერემონიალის თანხმად, იქორწინეს დიდმა მთავარმა პავლე ალექსანდრეს ძემ და საბერძნეთის მეფის ასულმა ალექსანდრამ. ნევაზე, საზამთრო სასახლის პირდაპირ, გამწკრივებული იყო ფლოტილია სიამპერატორო იახტებისა. სადედოფლო მორთეს საქორწინოდ სტატსდამებმა: კნეინა ბარიატინსკიმ, ბარონესა გუტბერგმა და საბერძნეთის გოფმეისტერინამ საპუნცაკიმ. პირველ საათსა და 15 წამზე გაემართნენ ეკკლესიაში კარის კაცთა წინ-გაძღოლით: ხელმწიფე იმპერატორი ელლინთა დედოფალთან ხელ-გაკეთებული, ხელმწიფე იმპერატრიცა ელლინთა მეფესთან, სანეფო და სადედოფლო მიდიოდნენ ერთად ხელ-გაუკეთებლივ: შლეიფი სადედოფლოსი ეჭირა ოთხს კამერჰერსა, ბოლო შლეიფისა ეჭირა მოურავს დიდის მთავრის პავლე ალექსანდრეს ძის სასახლისას, გოფმეისტერს ფილოსოფოვს. იმპერატრიცას ეცვა რუსული ოქრო-მკედის ტანისამოსი, მორთული ძვირფასის ბეწვით; თავზედ ეხურა ძვირფასი კოკოშნიკი; სადედოფლოს ვერცხლებრივს ტანისამოსს ზევით ებურა მაყვლის ფერი ხავერდის წამოსასხამი ყარყუმის ბეწვით სარჩულდადებული. თავზედ ედგა გვირგვინი. ეკკლესიაში უმაღლესს გვამთ დახვდა მიტროპოლიტი ისიდორე. ქორწინების წესი შეასრულა პროტოპრესვიტერმა იანიშევმა. გვირგვინები ეჭირათ: მეფისა მემკვიდრე ცესარევიჩსა და დიდს მთავრებს: ალექსი ალექსანდრეს ძეს და დიმიტრი კონსტანტინეს ძეს; დედოფლისა — საბერძნეთის მეფის ძეთა კონსტანტინესა და ნიკოლოზს და დიდს მთავარს ალექსანდრე მიხეილის ძეს. პარაკლისის შემდეგ ზარბაზნების სროლა იყო. 5 საათზე ნიკოლოზის დარბაზში სადილი იყო გამართული 600 კაცისათვის. უმაღლესი სუფრა მორთული იყო ოქროცურვილის სერვიზითა და ყვავილებითა. ცერემონიალით, წარმოსათქმელს სადღეგრძელოებს მოჰყვებოდა ხოლმე ზარბაზნების სროლა პეტრე-პავლეს ციხიდამ და სასახლის პირდაპირ მდგომარე გემებიდამ. ხელმწიფეს ემსახურებოდა სუფრაზე კამერჰერი ორდინი, მერიქიფედ იყო ობერშენკი გროტტი; იმპერატრიცას მიაწოდა თასი გრაფმა გენდრიკმა, ემსახურებოდა კამერჰერი ბარტოლომეი. 9 საათზე საგერბო დარბაზში გაიმართა ბალი, რომლის შემდეგაც 10 საათზე ცერემონიით წაბრძანდნენ თავის სასახლეში ახალი ჯვარ-დაწერილნი მეფე-დედოფალი. იქ მიეგება მათ დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული პურ-მარილით, რომელიც ოქროს სინზე იდო. შემდეგ შინაური ვახშამი იყო.

ბუქარესტი. სენატში გარეშე საქმეთა მინისტრს ლაგოვარის შეეკითხნენ რუსეთის ქვეშევრდომთა შესახებ და მან სთქვა პასუხად, რომ უცხოელმა და რუმინიის მოწინააღმდეგე დასის გაზეთებმა გააზვიადეს საქმე. რუმინიიდამ განდევნილთა რიცხვი სულ თორმეტია, რომელნიც სხვა-და-სხვა ტომისანი იყვნენო. მათ შორის რუსი მხოლოდ ორი ურევია. მინისტრმა დასძინა, რომ, ასეთის განმარტების შემდეგ, ეს ინციდენტი უკვე თავიდამ მოშორებულად უნდა მივიჩნიოთო. მინისტრს ტაში დაუკრეს.

პეტერბურგის ბირჟა, 2 ივნისი.

| | მყიდველნი ჰყავს. | გამყიდველნი ჰყავს. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 95 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 159¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 270½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 245 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 97½ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | 98 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 84¼ | — „ | — „ |

საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუენ (1889) წელიწდიაა ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამის ქორონიკონი—უპა=481 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

თიბათვე 30 დღით არის.

6 დღე სამშაბათი. ღირსისა მამისა ბესარიონ საკვირველ-მოქმედისა და ილარიონისა, დალმატის მონასტრისა. კათოლ. წმ. ნარბერტისა. სომეხ. დღესასწაული წმ. გაიანესი. მაჰმად. მე-19 რიცხვი თთვისა შევალისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0, ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—37. მთვარე 19 დღისაა.

7 დღე ოთხშაბათი. წმ. მღვდ.-მოწ. თეოდოტესი, ანკვირელ ეპისკოპოსისა. კათოლ. აბ. რობერტისა. სომეხ. მარხვა და ნახატონაქი. მაჰმად. მე-20 რიცხვი თთვისა შევალისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—37. მთვარე 20 დღისაა.

8 დღე ხუთშაბათი. წმ. დიდისა მოწამ-სა თევდორე სტრატილატისა. კათოლ. გული იესოსი. სომეხ. დღესასწ. წმ. იოანესი და ათანაგე ეპისკ. მაჰმად. მე-21 რიცხვი თთვისა შევალისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 4—25, ჩადის 7—38. მთვარე 21 დღისაა.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან | კაპ. |
|---|---|---|
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . | „ | 45 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . | „ | 50 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ვაზის ობი . . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, კაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა. . . . . . | „ | 25 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. გაციტაძის მიერ . | „ | 5 |

# ЗАВОДЪ
## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ



СЕРЕБРЯНАЯ

А. А.



ЗОЛОТАЯ

# ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ. Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже салдатскаго базара.

ვყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—19) ა. თუთაევი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ. — კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ. — კ. | |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 › . . . . . | 5 „ 25 „ | |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 › . . . . . | 4 „ 75 „ | |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 › . . . . . | 3 „ 50 „ | |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 › . . . . . | 2 „ 75 „ | |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 › . . . . . | 1 „ 50 „ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

**არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.**

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.

Доз. ценз. Тифлисъ 5-го Іюня 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул. и). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე